

(სსმ 02.07.2008 N 94 მუხ.1047)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 581

2008 წლის 26 ივნისი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანდართული წესდება.
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გ. ნოღია

საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დაარსდა 1922 წლის 16 იანვარს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის სახით, რომელსაც 1928 წელს შეუერთდა (1917 წელს დაარსებული) თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო ფაკულტეტი და ჩამოყალიბდა საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, შემდეგში 1936 წლიდან როგორც საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი, 1948 წლიდან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ხოლო 1990 წლის 6 იანვრიდან – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არის საინჟინრო-ტექნოლოგიური და ჰუმანიტარული პროფილის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სწავლების, სწავლის, სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის მაღალი ხარისხით. მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ კეთილდღეობის უზრუნველყოფაში.

უნივერსიტეტი, როგორც ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის წევრი ხელმძღვანელობს ევროპის უნივერსიტეტთა დიდი ქარტიის პრინციპებით.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. წესდების რეგულირების სფერო

წინამდებარე წესდება აყალიბებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) მიზნებსა და ამოცანებს და არეგულირებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას, მართვის ორგანოებსა და პერსონალს, მათი დანიშვნისა და არჩევის წესსა და უფლება-მოვალეობებს, მართვის პრინციპებს, ასევე უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტატუსი

1. უნივერსიტეტი არის ავტონომიური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ეწევა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, კერძოდ:

ა) ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ფარგლებში შეიმუშავებს და ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა) და პროფესიული უმაღლესი განათლების/დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე ეწევა სახელობო საგანმანათ-ლებლო საქმიანობას;

ბ) ახორციელებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო, აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის მომზადების, გადამზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამებს;

გ) ასრულებს ფუნდამენტურ და გამოყენებით სამეცნიერო კვლევებს მეცნიერებათა ფართო სპექტრით;

დ) ეწევა საპროექტო და საცდელ-საკონსტრუქტორო საქმიანობას;

ე) წარმოადგენს წამყვან სამეცნიერო, მეთოდურ, საექსპერტო და საკონსულტაციო ცენტრს თავისი საქმიანობის სფეროებში.

2. უნივერსიტეტი „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 28 ივლისის N299 ბრძანებულებით ჩამოყალიბებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია, აქვს ბეჭედი თავისი

სიმბოლიკით და უნივერსიტეტის სახელწოდებით (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA), ბლანკები და შტამპი უნივერსიტეტის სახელწოდებით, საიდენტიფიკაციო ლოგოტიპი, დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

3. უნივერსიტეტი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

4. უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისამართია: საქართველო, თბილისი – 0175, კოსტავას ქ. N77. უნივერსიტეტის ელექტრონული მისამართია www.gtu.edu.ge

მუხლი 3. უნივერსიტეტის უფლებამოსილება

1. უნივერსიტეტი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, კანონებით “უმაღლესი განათლების შესახებ” და “საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ”, სხვა ნორმატიული აქტებითა და ამ წესდებით.

2. უნივერსიტეტი შეიძლება სასამართლოში გამოვიდეს მხარედ (მოპასუხედ ან მოსარჩლედ), მესამე პირებთან დადოს გარიგებები და შეთანხმებები მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

3. უნივერსიტეტს აქვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიის შესაბამისად უმაღლესი და სახელობო განათლების სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვის უფლება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ფარგლებში.

4. უნივერსიტეტი გასცემს მინიჭებული აკადემიური ხარისხის ან მიღებული კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომს და სერტიფიკატს.

5. უნივერსიტეტი დამოუკიდებელია მოქმედი კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების ფარგლებში გადაწყვეტილებათა მიღებასა და მოქმედებათა განხორციელებაში.

6. უნივერსიტეტი დამოუკიდებელია თავისი სტრუქტურის ფორმირებაში.

7. უნივერსიტეტში წესდების, დებულებებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე მოქმედებენ სტუდენტური თვითმმართველობის, აგრეთვე პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც აერთიანებენ სტუდენტებს, სამეცნიერო-პედაგოგიურ და დამხმარე პერსონალს.

8. უნივერსიტეტის ფარგლებში დაუშვებელია ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკური ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულის შექმნა და ფუნქციონირება, ასევე პარტიული აგიტაციისა და პროპაგანდის წარმოება.

9. უნივერსიტეტი მონაწილეობს ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ, კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაში.

თავი II. უნივერსიტეტის მიზნები, ამოცანები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

მუხლი 4. უნივერსიტეტის მიზნები და ამოცანები

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.

2. უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო, ინოვაციური და მმართველობითი საქმიანობის ძირითადი მიზნებია:

ა) სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობაში: საზოგადოებისა და სახელმწიფო მოთხოვნების დაკმაყოფილება უმაღლესი განათლების მქონე კვალიფიციურ სპეციალისტებსა და სამეცნიერო-პედაგოგიურ კადრებზე, რომლებიც აქტიურად შეუწყობენ ხელს საქართველოში ეკონომიკურ ზრდას, ბუნებრივი გარემოსა და რესურსების დაცვასა და გონივრულ გამოყენებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას.

ბ) სამეცნიერო საქმიანობაში: საქართველოში ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერებების განვითარება, სპეციალისტებისა და უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების ეფექტურობის ამაღლება, კონკურენტუნარიანი სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციისა და მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების შექმნა.

გ) ინოვაციურ საქმიანობაში: უნივერსიტეტში მეცნიერებისა და განათლების სფეროში აუცილებელი პირობების შექმნა სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის უახლესი შედეგების დანერგვისა და ეფექტური გამოყენებისათვის.

დ) მმართველობით საქმიანობაში: საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, საწარმოო-სამეურნეო, ორგანიზაციულ-ეკონომიკური და საფინანსო საქმიანობის სრულყოფისათვის ხარისხის საყოველთაო მართვის პრინციპების გათვალისწინება, ხარისხის პრობლემის გადაწყვეტა სისტემურ საფუძველზე, მართვის სისტემის დამუშავება საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით და ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სერტიფიცირების უზრუნველყოფა.

3. უნივერსიტეტის ძირითადი ამოცანებია:

ა) საგანმანათლებლო საქმიანობაში:

ა.ა) სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების _ მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება;

ა.ბ) პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური და პროფესიული განათლების მქონე პირების _ ბაკალავრებისა და დიპლომირებული სპეციალისტების მომზადება;

ა.გ) სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;

ა.დ) უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადება, უნივერსიტეტის აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის პროფესიული განვითარება;

ა.ე) მრეწველობის სხვადასხვა დარგების ხელმძღვანელი და საინჟინრო კადრების პროფესიული სრულყოფა და გადამზადება;

ა.ვ) უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვა;

ა.ზ) სტუდენტ ახალგაზრდობაში სამოქალაქო პოზიციის, თანამედროვე ცივილიზაციისა და დემოკრატიის პირობებში შრომისა და ცხოვრების უნარის ფორმირება;

ა.თ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, ასევე პროფესიულ ასოციაციებთან თანამშრომლობა, სტუდენტთა და პროფესორთა მობილობის ხელის შეწყობა.

ბ) სამეცნიერო საქმიანობაში:

ბ.ა) ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ორგანიზება და ჩატარება მეცნიერებათა ფართო სპექტრში;

ბ.ბ) სასწავლო პროცესთან სამეცნიერო საქმიანობის მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფა;

ბ.გ) უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების ჩაბმა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში;

ბ.დ) საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარება უნივერსიტეტში მეცნიერებატევადი პროდუქციის შექმნისა და მსოფლიო ბაზარზე გატანის მიზნით;

ბ.ე) სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობის დროს შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების უფლებრივ დაცვაში ხელშეწყობა;

ბ.ვ) უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის საორგანიზაციო, ნორმატიულ-მეთოდური, საინფორმაციო-ანალიზური, მეტროლოგიური და სარეკლამო-საგამოფენო უზრუნველყოფა;

ბ.ზ) სამინისტროსთან შეთანხმებით არასამეწარმეო იურიდიული პირების დაფუძნება.

გ) ინოვაციურ საქმიანობაში:

გ.ა) უნივერსიტეტისათვის პროფილურ ბაზრებზე საგანმანათლებლო მომსახურების, მეცნიერებატევადი პროდუქციისა და ტექნოლოგიების, აგრეთვე შრომის ბაზრებზე მარკეტინგული და პროგნოზულ-ანალიტიკური კვლევების ჩატარება;

გ.ბ) მეცნიერებისა და განათლების სფეროში ინოვაციური საქმიანობის სტრუქტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარება და სრულყოფა, სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროცესების ორგანიზაციისა და მართვის ინოვაციური პრინციპების დამუშავება და დანერგვა;

გ.გ) უნივერსიტეტის სტრატეგიულ პარტნიორებთან – სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროფილის დაწესებულებებთან და სამრეწველო საწარმოებთან გრძელვადიანი თანამშრომლობის ორგანიზება და უზრუნველყოფა;

გ.დ) კონკურენტუნარიანი მეცნიერებატევადი პროდუქციის შექმნაში ხელშეწყობა და საინოვაციო ბაზრებზე მისი გატანის უზრუნველყოფა;

გ.ე) უნივერსიტეტის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების კომერციალიზაცია და ჩართვა უნივერსიტეტის სამეურნეო საქმიანობაში;

გ.ვ) ინოვაციური საქმიანობის სფეროში კონსალტინგური მომსახურების გაწევა უნივერსიტეტის ქვედანაყოფებისათვის, პარტნიორების ძიება მეცნიერებისა და

განათლების სფეროში ინოვაციური პროდუქტების რეალიზაციისათვის;
გ.ზ) კადრების მომზადება ინოვაციური საქმიანობისათვის;
გ.თ) პერსპექტიული კვლევების დაფინანსება
დ) მმართველობით საქმიანობაში:
დ.ა) უნივერსიტეტის სტრუქტურის ოპტიმიზაცია;
დ.ბ) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზაცია მართვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;
დ.გ) უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი სახეობების დაფინანსებისათვის სახსრების მოზიდვის და რაციონალური გამოყენების ეფექტური სისტემის შექმნა, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამხმარე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება;
დ.დ) თანამშრომელთა და სტუდენტთა მონაწილეობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი შესრულების კონტროლის პროცესში;
დ.ე) მართვისა და კონკურსების საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
დ.ვ) თანამშრომელთა და სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა, სპორტისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა;
დ.ზ) საგანმანათლებლო მომსახურებისა და სპეციალისტების მომზადების ხარისხის ამაღლება მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების დონემდე;
დ.თ) განათლების ხარისხის მართვის სისტემის შექმნა და დანერგვა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

მუხლი 5. უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ა) საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიური პროგრამების განხორციელება.
- ბ) პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.
- გ) სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
- დ) სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმართვა.
- ე) საპროექტო, სამიზნო და საცდელ-საკონსტრუქტორო საქმიანობა.
- ვ) საექსპერტო, დიაგნოსტიკური და საკონსულტაციო საქმიანობა.
- ზ) საგამომცემლო საქმიანობა.

მუხლი 6. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურა

1. უნივერსიტეტის შემადგენლობაში შედის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის უშუალოდ განხორციელებელი ძირითადი სტრუქტურული ერთეულები: ფაკულტეტები, ბიბლიოთეკა (ბიბლიოთეკები) და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.
2. გადაწყვეტილებას ფაკულტეტის შექმნის ან გაუქმების შესახებ იღებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
3. უნივერსიტეტის ფაკულტეტების შემადგენლობაში სტრუქტურული ქვედანაყოფის სახით შეიძლება შეიქმნას სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები.

4. უნივერსიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.
5. უნივერსიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფის სტატუსი და ფუნქცია განისაზღვრება სათანადო დებულებებით.

მუხლი 7. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები

1. უნივერსიტეტის სტრუქტურაში შემავალი ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეულებია ფაკულტეტები. ფაკულტეტის შემადგენლობაში შედიან სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.
2. ფაკულტეტის სტრუქტურა განისაზღვრება მისი დებულებით, რომელსაც შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
3. საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობას ფაკულტეტზე უძღვებიან “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული სათანადო ორგანიზაციული და სტრუქტურული ერთეულები, რომელთაც ხელმძღვანელობენ ამ ორგანიზაციული და სტრუქტურული ერთეულების უფროსები (ხელმძღვანელები). ორგანიზაციული და სტრუქტურული ერთეულების შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
4. ფაკულტეტი ახორციელებს სტუდენტთა მომზადებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული უმაღლესი განათლების სპეციალობათა ჩამონათვალის შესაბამისად. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრული ყოველი სპეციალობის მიხედვით საგანმანათლებლო საქმიანობას უძღვება უნივერსიტეტის ძირითადი სტრუქტურული ერთეულები ფაკულტეტები მათ შემადგენლობაში შემავალი დამხმარე სტრუქტურული ერთეულების – კათედრა, პროგრამული მიმართულება, დეპარტამენტი და სხვათა მეშვეობით.
5. ფაკულტეტზე სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის გავლის წესი რეგულირდება შესაბამისი დებულებით, რომელსაც ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

მუხლი 8. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა წარმოადგენს ამავე უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო-კვლევით ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს უნივერსიტეტის წესდებისა და საკუთარი დებულების შესაბამისად.
2. ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა წარმოადგენს საინფორმაციო-სასწავლო და სამეცნიერო ცენტრს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მომსახურებას.
3. ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა წარმართავს სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიულ საქმიანობას.
4. სამეცნიერო ბიბლიოთეკა წარმოადგენს ერთიან ქსელს, რომელშიც

გაერთიანებულია უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურის საბიბლიოთეკო მომსახურება. იგი კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ფაკულტეტების ბიბლიოთეკათა მუშაობას, ცენტრალიზებული წესით უზრუნველყოფს მათ დაკომპლექტებას სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურით.

5. სამეცნიერო ბიბლიოთეკის საქმიანობა განისაზღვრება წლიური გეგმით.

6. სამეცნიერო ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს წიგნადი და პერიოდულ გამოცემათა შეძენას, მათ აღრიცხვას, მოვლა-შენახვასა და გამოყენებას.

7. სამეცნიერო ბიბლიოთეკა აწყოფს სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო ინტერესთა გათვალისწინებით მუდმივმოძიებულ და პერიოდულ გამოფენებს.

8. სამეცნიერო ბიბლიოთეკა ახორციელებს გაცვლით პროგრამებს ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის ფარგლებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ.

9. საბიბლიოთეკო საბჭო სამეცნიერო ბიბლიოთეკის სათათბირო ორგანოა.

10. ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის მუშაობას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკის დირექტორი, რომელსაც ირჩევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

11. ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი არის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი.

მუხლი 9. უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

1. უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია:

ა) რექტორის აპარატი;

ბ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატი;

გ) აკადემიური საბჭოს სამდივნო;

დ) წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნო;

ე) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამდივნო.

ვ) სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.

2. უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ ერთეულების დებულებებით, რომელსაც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

თავი III. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები) და მათი უფლებამოსილება

მუხლი 10. უნივერსიტეტის მართვის პრინციპები

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

ა) აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების გადაწყვეტილებების, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშებისა და ბრძანებების საჯაროობასა და მათ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისათვის;

ბ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას;

გ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების

მიღების პროცესში;

- დ) თანასწორობას განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილების, სქესის, სოციალური წარმოშობის, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვ.;
- ე) საუნივერსიტეტო არჩევნების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას, კონკურსების საჯაროობას.

მუხლი 11. უნივერსიტეტის მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები)

1. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
2. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 12. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭო, რომლის წევრებიც აირჩევიან ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.
2. აკადემიურ საბჭოში აირჩევა თითოეული ფაკულტეტიდან ორ-ორი წარმომადგენელი – პროფესორი, გარდა ასისტენტ-პროფესორისა.
3. აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტებიდან ასარჩევ კანდიდატთა და ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების წესები განისაზღვრება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით.
4. აკადემიური საბჭოს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრს და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებს.
5. აკადემიური საბჭოს წევრი ირჩევა 4 წლის ვადით.
6. აკადემიური საბჭოს პირველ სხდომაზე, რომელიც იმართება არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში, აკადემიური საბჭო ცნობს თავის უფლებამოსილებას.
7. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განახლებას ექვემდებარება ერთი მესამედით ყოველ ორ წელიწადში ერთხელ.
8. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ვადით ხდება მისი ახალი წევრის არჩევა არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების თანახმად.
9. აკადემიურ საბჭოს ვადამდე უწყდება უფლებამოსილება უნივერსიტეტის მიერ ზედიზედ 2-ჯერ აკრედიტაციის გაუვლელი შემთხვევაში.

10. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლია:

- ა) პირადი სურვილი;
- ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
- გ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;
- დ) 65 წლის ასაკის მიღწევა;
- ე) ამ უნივერსიტეტის მიერ ზედიზედ 2-ჯერ აკრედიტაციის გაუვლელობის შემთხვევა;
- ვ) ამ უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება;
- ზ) უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა;
- თ) გარდაცვალება.

მუხლი 13. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომის მომზადება და წარმართვა

1. აკადემიური საბჭოს სხდომას, საკუთარი ინიციატივით ან წევრთა 1/3-ის მოთხოვნით, იწვევს და თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის რექტორი.
2. აკადემიური საბჭოს წევრებს წინასწარ უნდა ეცნობოთ სხდომის ჩატარების დროისა და დღის წესრიგის შესახებ. დღის წესრიგი განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
3. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის 2/3.
4. აკადემიური საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, გარდა აკადემიური საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრული შემთხვევებისა.
5. აკადემიური საბჭოს ყველა სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელშიც უნდა მიეთითოს:
 - ა) მართვის ორგანოს დასახელება;
 - ბ) სხდომის დრო და ადგილი;
 - გ) სხდომის თავმჯდომარისა და მონაწილე წევრების ვინაობა;
 - დ) განსახილველი საკითხი;
 - ე) კენჭისყრის შედეგები;
 - ვ) მიღებული გადაწყვეტილება.
6. აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 14. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება

1. აკადემიური საბჭო “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონისა და ამ წესდების შესაბამისად:
 - ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას;
 - ბ) ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
 - გ) ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის

თანამშრომლობის, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას;

დ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს – რექტორს;

ე) წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით დასამტკიცებლად წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატურას;

ვ) წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურას;

ზ) წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მოტივირებულ წინადადებას;

თ) წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში;

ი) სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, აგრეთვე ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;

კ) ადგენს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხების, აგრეთვე უმაღლესი და სახელობო განათლების კრედიტების ცნობის წესს;

ლ) ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოების დებულებებს;

მ) ადგენს აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ნ) განსაზღვრავს აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ო) წლიურ ანგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

პ) ირჩევს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს (დირექტორს) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით;

ჟ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს;

რ) საჭიროების შემთხვევაში ქმნის ახალ ფაკულტეტებს, ახდენს არსებული ფაკულტეტების რეორგანიზაციას და ლიკვიდაციას;

ს) ფაკულტეტების საბჭოების წარდგინების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ დადგენილი დებულების შესაბამისად;

ტ) ფაკულტეტების საბჭოების, უნივერსიტეტის რექტორისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრის წარდგინების საფუძველზე ახორციელებს გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედლით თანამშრომელთა და სხვა ქვეყნების თვალსაჩინო მეცნიერების, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების დაჯილდოებას;

უ) თავისი შემადგენლობიდან ირჩევს აკადემიური საბჭოს მდივანს, რომლის საქმიანობა განისაზღვრება აკადემიური საბჭოს რეგლამენტით;

ფ) საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს წესდებაში ცვლილებების პროექტს და წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად;

ქ) უნივერსიტეტის ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლების ღირებულებას;

ღ) ახორციელებს ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მასზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

2. აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმით.

3. უნივერსიტეტის ფაკულტეტის შექმნა და რეორგანიზაციული კვიდაცია ხორციელდება აკადემიური საბჭოს მიერ აკადემიური საბჭოს წევრთა 2/3-ის თანხმობით.

4. თუკი ფაკულტეტის შექმნა და რეორგანიზაცია-ლიკვიდაცია იწვევს დამატებით ხარჯებს ბიუჯეტში, აკადემიური საბჭო გადაწყვეტილებას დამტკიცებისათვის წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

მუხლი 15. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო

1. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო, რომელიც აირჩევა უნივერსიტეტის ძირითადი სტრუქტურული ერთეულებიდან – ფაკულტეტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებზე მათი რაოდენობის პროპორციულად. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა მინიმალური რაოდენობა არ შეიძლება იყოს აკადემიური საბჭოს ორმაგ რაოდენობაზე ნაკლები.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევა ხდება უნივერსიტეტის ფარგლებში საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების თანახმად.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადა არის ოთხი წელი.

4. სტუდენტები შეადგენენ წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედს. ასისტენტ-პროფესორი, რომელიც არის დოქტორანტი, არჩევნებში მონაწილეობს, როგორც სტუდენტი. წარმომადგენლობით საბჭოში სტუდენტთა რაოდენობის დასადგენად დამრგვალება ხორციელდება სტუდენტთა სასარგებლოდ.

5. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით.

6. წარმომადგენლობითი საბჭოს შენადგენლობაში შედის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის დირექტორი. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ პირები, რომლებსაც საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა მიანიჭა აკადემიური ხარისხი ან/და კვალიფიკაცია, აგრეთვე საზოგადოების წარმომადგენლები. ამ პუნქტში ჩამოთვლილი პირების არჩევის წესს განსაზღვრავს არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება.

7. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრები.

8. წარმომადგენლობით საბჭოში სტუდენტებს ირჩევს ფაკულტეტის სტუდენტების ამომრჩეველთა სიებში რეგისტრირებული ყველა სტუდენტი, მათ შორის დოქტორანტი.

9. აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს და პირებს, რომლებსაც უნივერსიტეტმა მიანიჭა აკადემიური ხარისხი ან/და კვალიფიკაცია, აგრეთვე საზოგადოების წარმომადგენლებს ირჩევს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – ამომრჩეველთა სიებში რეგისტრირებული ყველა სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი, გარდა დოქტორანტისა.

10. წარმომადგენლობით საბჭოში ფაკულტეტებიდან ასარჩევ კანდიდატთა და ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების წესები განისაზღვრება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით.

11. წარმომადგენლობითი საბჭოს პირველ სხდომას იწვევს რექტორი არა უგვიანეს 5 დღისა არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან.

12. პირველ სხდომას თავმჯდომარეობს წარმომადგენლობითი საბჭოს უხუცესი წევრი. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

13. წარმომადგენლობითი საბჭოს ახალარჩეული წევრების უფლებამოსილებას ცნობს საბჭო პირველ სხდომაზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 16. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მომზადება და წარმართვა

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომების ჩატარებას ორგანიზებას უწევს და თავმჯდომარეობს სპიკერი. სპიკერის არ ყოფნის შემთხვევაში სპიკერის დავალებით სხდომას უძღვება წარმომადგენლობითი საბჭოს ერთ-ერთი წევრი. სპიკერის დავალების არარსებობის შემთხვევაში სხდომას წარუძღვება წარმომადგენლობითი საბჭოს ის წევრი, რომელიც აირჩევა საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლო უმრავლესობით.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს წინასწარ უნდა ეცნობოთ სხდომის ჩატარების დროისა და დღის წესრიგის შესახებ. დღის წესრიგი განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

3. წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი

შემადგენლობის უმრავლესობა.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, გარდა წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრული შემთხვევებისა.

5. წარმომადგენლობითი საბჭოს ყველა სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) მართვის ორგანოს დასახელება;

ბ) სხდომის დრო და ადგილი;

გ) სხდომის თავმჯდომარისა და მონაწილე წევრების ვინაობა, რაოდენობა;

დ) განსახილველი საკითხი;

ე) კენჭისყრის შედეგები;

ვ) მიღებული გადაწყვეტილება.

6. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 17. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილება

1. წარმომადგენლობითი საბჭო “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონისა და ამ წესდების შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს უნივერსიტეტის წესდებას აკადემიური საბჭოს მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;

ბ) შეიმუშავებს უნივერსიტეტის შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს და ამტკიცებს მათ;

გ) ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტების სტრუქტურასა და დებულებებს;

დ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესსა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;

ე) ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს;

ვ) ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

ზ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

თ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურასა და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე;

ი) ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიურ ანგარიშს;

კ) აკადემიური საბჭოს მოტივირებული წინადადებით, ან საკუთარი ინიციატივით უფლებამოსილია ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

ლ) ამტკიცებს მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს;

- მ) ამტკიცებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს აკადემიური საბჭოს წარდგინებით;
- ნ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს აკადემიური საბჭოს წარდგინებით;
- ო) ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ შემუშავებულ ადმინისტრაციის დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგს, ფაკულტეტის მიერ შემუშავებულ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებულ ფაკულტეტის დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგს, აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავებულ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებულ აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის საშტატო განრიგს;
- პ) თავისი შემაჯგუფებელი ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანს, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს სხდომის ოქმების შედგენაზე;
- ჟ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
2. წარმომადგენლობითი საბჭო ბიუჯეტის დამტკიცების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ყოველწლიური ანგარიშის დასამტკიცებლად გადაწყვეტილებას იღებს წარმომადგენლობითი საბჭოს სიითი შემაჯგუფების უმრავლესობით
3. დაუშვებელია უფლებამოსილებაშეწყვეტილი აკადემიური პერსონალის წევრის ნაცვლად არჩეულ იქნეს სტუდენტი და პირიქით.
4. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში არჩევნები ტარდება შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად ამავე ვადით.
5. წარმომადგენლობით საბჭოს ვადამდე უწყდება უფლებამოსილება უნივერსიტეტის მიერ ზედიზედ 2-ჯერ აკრედიტაციის გაუვლელობის შემთხვევაში;

მუხლი 18. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი

1. წარმომადგენლობითი საბჭო ფარული კენჭისყრით, საბჭოს სიითი შემაჯგუფების უმრავლესობით თავისი რიგებიდან ირჩევს სპიკერს, რომელიც ორგანიზებას უწევს და თავმჯდომარეობს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომების ჩატარებას.
2. სპიკერის კანდიდატურების წარდგენის წესი და ვადები დგინდება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით.
3. კენჭისყრას ატარებს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ არჩეული ხმის დამთვლელი კომისია.
4. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს საბჭოს სიითი შემაჯგუფების ნახევარზე მეტს. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი ორზე მეტია და ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმავე დღეს უმეტესი ხმების

მქონე ორ პრეტენდენტს შორის ტარდება განმეორებითი არჩევნები. თუ ამ შემთხვევაშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, არა უგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი. ახალი არჩევნები ტარდება იმავე წესით. წინა არჩევნებში მონაწილე პრეტენდენტები შემდეგ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

5. სპიკერი აირჩევა წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადით.

6. არჩეულ სპიკერს უნივერსიტეტი არჩევიდან 2 კვირის ვადაში წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარეგისტრაციოდ.

მუხლი 19. უნივერსიტეტის რექტორი

1. უნივერსიტეტის რექტორი არის უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტს ქვეყნის შიგნითა და გარეთ აკადემიურსა და სამეცნიერო სფეროებში.

2. რექტორობის კანდიდატთა რეგისტრაციისა და რექტორის არჩევნების ჩატარების წესები განისაზღვრება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით.

3. რექტორი აირჩევა 4 წლის ვადით.

მუხლი 20. უნივერსიტეტის რექტორის უფლებამოსილება

1. რექტორი უფლებამოსილია უნივერსიტეტის სახელით დადოს გარიგებები და შეთანხმებები. იმ შემთხვევაში თუ გარიგების, შეთანხმების დადება დაკავშირებულია ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებთან, მათ ხელს აწერს აგრეთვე ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული აკადემიური, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესაბამისად რექტორი დებს და წყვეტს შრომით ხელშეკრულებას აკადემიურ, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალთან, გამოსცემს ბრძანებებს მათი დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ.

3. რექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობებს ასრულებს მისი მოადგილე.

4. რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლია:

ა) პირადი სურვილი;

ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

გ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;

დ) 65 წლის ასაკის მიღწევა;

ე) ამ უნივერსიტეტის მიერ ზედიზედ 2-ჯერ აკრედიტაციის გაუვლელი შემთხვევა;

ვ) ამ უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება;

ზ) უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა;

თ) გარდაცვალება.

5. რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, დარჩენილი ვადით, ამ წესდების მე-19 მუხლის შესაბამისად, ხორციელდება რექტორის

თანამდებობის დაკავება

6. რექტორის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

7. პირი, რომელსაც ეკავა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობა, ამავე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში რექტორად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ მისი, როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ.

მუხლი 21. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უნივერსიტეტის უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველი ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების სფეროში, რომელიც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და წარმოადგენს უნივერსიტეტს საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში.

2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების წესები განისაზღვრება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით.

3. აკადემიური საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით შერჩეულ კანდიდატურას წარუდგენს დასამტკიცებლად წარმომადგენლობით საბჭოს, რომელიც არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით განსაზღვრულ ვადაში ფარული კენჭისყრით ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ კანდიდატურის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო უფლებამოსილია ერთი კვირის ვადაში წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგინოს ახალი ან იგივე კანდიდატურა.

5. კანდიდატურის ხელმეორედ დაუმტკიცებლობის შემთხვევაში აკადემიური საბჭო ატარებს ამ მუხლით გათვალისწინებულ შერჩევის პროცედურას და კონკურსის საფუძველზე შერჩეულ ახალ კანდიდატურას წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

6. ერთი და იგივე პირი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

7. პირი, რომელსაც ეკავა რექტორის თანამდებობა ტექნიკურ უნივერსიტეტში, ადმინისტრაციის ხელმძღვანელად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ მისი, როგორც რექტორის უფლებამოსილების შეწყვეტიდან რექტორის ერთი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ.

მუხლი 22. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილება

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:

ა) ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას;

ბ) უფლებამოსილია უნივერსიტეტის სახელით და უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესაბამისად დადოს ფინანსური და ეკონომიკური გარიგებები;

- გ) ადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;
- დ) ადგენს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, მისი შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;
- ე) ამზადებს უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;
- ვ) ამზადებს შესრულებული სამუშაოს ყოველწლიურ ანგარიშს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;
- ზ) გამოსცემს ინდივიდუალურ აქტებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
- თ) პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე.
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია წარმომადგენლობითი საბჭოსა და აკადემიური საბჭოს წინაშე.
3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადაა ოთხი წელი.
4. გარდა ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე გათავისუფლების ზოგადი საფუძვლებისა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:
- ა) წარმომადგენლობითი საბჭოს განმეორებითი უარი წლიური ანგარიშისა და ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
- ბ) წარმომადგენლობითი საბჭოს მოტივირებული გადაწყვეტილება.

მუხლი 23. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, აგრეთვე მისი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხი ექვემდებარება სისტემატურ შეფასებას, რომელშიც მონაწილეობას იღებენ აგრეთვე უნივერსიტეტის სტუდენტები და რომლის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.
2. უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შესარჩევად კონკურსს აცხადებს აკადემიური საბჭო.
4. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების წესები განისაზღვრება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით.
5. აკადემიური საბჭო შერჩეულ კანდიდატურას დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს, რომელიც ESI-ითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს კანდიდატურას ან დასაბუთებულ უარს აცხადებს მის დამტკიცებაზე.
6. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში აკადემიური საბჭო აცხადებს ხელახალ კონკურსს და ახალ შერჩეულ კანდიდატურას წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს, რომელიც არ შეიძლება იყოს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დაუმტკიცებელი კანდიდატურა.

7. გარდა ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე გათავისუფლების ზოგადი საფუძვლებისა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია წარმომადგენლობითი საბჭოს მოტივირებული გადაწყვეტილება, მიღებული აკადემიური საბჭოს წარდგინების ან საკუთარი ინიციატივის საფუძველზე.

8. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ტარდება ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურა.

მუხლი 24. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფლებამოსილება

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

ა) სისტემატურად აფასებს უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო და კვლევით პროცესებს;

ბ) ამზადებს უნივერსიტეტს პროგრამული აკრედიტაციისათვის.

2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდრო კავშირს ამყარებს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.

3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განსაზღვრავს ხარისხის კონტროლის კრიტერიუმებსა და მათი გამოყენების მეთოდოლოგიას; ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო და კვლევითი პროცესების შეფასებისას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კრიტერიუმებითა და მეთოდოლოგიით.

მუხლი 25. უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები, ან, საჭიროების შემთხვევაში, – აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა თვითმმართველობის არჩეული წარმომადგენლები. უკანასკნელ შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს წევრთა რაოდენობა და არჩევის წესი განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით.

2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით, მაგრამ არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.

3. ფაკულტეტის საბჭო იკრიბება სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ

ფაკულტეტის საბჭოში წარმომადგენლების (საჭიროების შემთხვევაში აკადემიური პერსონალის წარმომადგენელთა) არჩევიდან არა უგვიანეს 5 დღისა.

4. ფაკულტეტის საბჭო პირველი შეკრებისთანავე ცნობს თავის უფლებამოსილებას.

მუხლი 26. უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება

1. ფაკულტეტის საბჭო:

ა) განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტს;

ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურას და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ე) შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ვ) ირჩევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს ფაკულტეტისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში;

ზ) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;

თ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის ორგანიზაციული და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ი) თანამდებობაზე ამტკიცებს ფაკულტეტის ორგანიზაციული და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს;

კ) ახორციელებს “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

2. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით, ხოლო არჩევნებისას, ფაკულტეტის სტრუქტურის, ბიუჯეტის განსაზღვრისას და ფაკულტეტისათვის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას, საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 27. უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანი

1. ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის დეკანს ირჩევს ოთხი წლის ვადით. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

2. უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების წესები განისაზღვრება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით.

3. დეკანად შეიძლება აირჩეს ასოცირებული ან სრული პროფესორი.

4. ფაკულტეტის დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურად მიმდინარეობას;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას, აგრეთვე ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების კანდიდატურებს;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს;

ვ) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

ზ) “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონისა და ამ წესდების შესაბამისად პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;

თ) წარმოადგენს ფაკულტეტს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

ი) ადგენს ფაკულტეტის საქმის წარმოების წესს;

კ) მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში დებს ხელშეკრულებებს ფაკულტეტის სახელით;

ლ) ახორციელებს “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 28. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. უნივერსიტეტის ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს ფაკულტეტის დებულების შესაბამისად.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამყარებს მჭიდრო კავშირს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.

3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურებს ფაკულტეტის საბჭოებს წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

4. ფაკულტეტს შეიძლება წარედგინოს ერთი ან მეტი კანდიდატურა.

5. ფაკულტეტის საბჭო კანდიდატურის (კანდიდატურების) წარდგენიდან 10 დღის ვადაში სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რაც ფორმდება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების ოქმით.

6. ფაკულტეტის საბჭოს მიერ კანდიდატურის აურჩევლობის შემთხვევაში, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ახალ კანდიდატურას წარადგენს 5 დღის ვადაში.

7. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი შეიძლება იყოს ფაკულტეტის საბჭოს წევრი ასოცირებული ან სრული პროფესორი.

8. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

ა) უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობით, ადგენს ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმებს;

ბ) ამ კრიტერიუმების საფუძველზე ახდენს სასწავლო და სამეცნიერო პროცესების მონიტორინგს და შეფასებას;

გ) უზრუნველყოფს ფაკულტეტის თვითშეფასებას აკრედიტაციის პროცესისთვის;

დ) რეგულარულად აცნობს თავისი მუშაობის შედეგებს ფაკულტეტის საბჭოს.

მუხლი 29. სადისერტაციო საბჭო

1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტზე.

2. სადისერტაციო საბჭოების შედგენის, თავმჯდომარის არჩევის წესსა და კრიტერიუმებს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად. სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სრული და ასოცირებული პროფესორებისაგან.

3. სადისერტაციო საბჭოს დებულებით შეიძლება განისაზღვროს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირის მოწვევის წესი და პირობები. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი შეიძლება გახდეს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული ან ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების და ამაზე მისი თანხმობის საფუძველზე. მას უნდა ჰქონდეს ფაკულტეტზე წარმართული სადოქტორო პროგრამების შესაბამისი რომელიმე სამეცნიერო მიმართულების სპეციალისტის კვალიფიკაცია, მონაწილეობას უნდა ღებულობდეს სადისერტაციო მუშაობაში.

4. სადისერტაციო საბჭო მოქმედებს აკადემიური საბჭოს მიერ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად და დოქტორის ხარისხს ანიჭებს მეცნიერების იმ დარგებში, რომლებიც განსაზღვრულია ამავე დებულებით.

5. უნივერსიტეტი უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.

თავი IV. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიები და არჩევნების ჩატარების წესები

მუხლი 30. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიები

1. უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების მიზნით იქმნება საარჩევნო კომისიები.
2. რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევისათვის საარჩევნო კომისიას ქმნის აკადემიური საბჭო.
3. აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებში წარმომადგენლების ასარჩევად, დეკანის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს არჩევნების ჩატარების მიზნით იქმნება ფაკულტეტის საარჩევნო კომისია.
4. საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის წევრი, აგრეთვე მართვის ორგანოს წევრი ან არჩევნებში მონაწილე კანდიდატი.
5. საარჩევნო კომისიების წევრთა რაოდენობა, კომისიების შექმნის წესი, მათი უფლებამოსილება განისაზღვრება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით, რომელსაც შეიმუშავენ და ამტკიცებენ აკადემიური საბჭო.

მუხლი 31. არჩევნების ჩატარების წესები

1. აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნებს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი, რის თაობაზეც გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ხოლო რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსისა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევნებს ნიშნავს აკადემიური საბჭო თავისი გადაწყვეტილებით.
2. მართვის ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ აქტები უნდა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი და საჯარო გაცნობის მიზნით უნდა გამოიკრას დაწესებულების თვალსაჩინო ადგილებში, მათ შორის, ფაკულტეტებზე.
3. არჩევნების გამოცხადების, ამომრჩეველთა და კანდიდატთა რეგისტრაციის, საარჩევნო სიების შედგენის, წინასაარჩევნო სააგიტაციო კამპანიის წარმართვის, არჩევნების პროცესის ორგანიზების, ჩატარების, არჩევნების შედეგების შეჯამების, გამოცხადების, გასაჩივრების, საბოლოო შედეგების გამოქვეყნების წესებს, დამკვირვებელთა სტატუსსა და დარღვევების ოქმის შედგენის წესებს ადგენს არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება.

თავი V. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერსონალი

მუხლი 32. პერსონალი

უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალი, მათ შორის უნივერსიტეტის ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო პერსონალი.

მუხლი 33. უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი პერსონალი

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება სრული პროფესორებისაგან, ასოცირებული პროფესორებისაგან და ასისტენტ-პროფესორებისაგან.
2. აკადემიური პერსონალი წარმართავს ან/და მონაწილეობს სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში.
3. აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
4. სამეცნიერო-კვლევით პერსონალს განეკუთვნება “მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული სამეცნიერო-კვლევითი პერსონალი.

მუხლი 34. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
3. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საბუთების მიღებამდე არა უგვიანეს 1 და კონკურსის ჩატარებამდე არა უგვიანეს 2 თვით ადრე.
4. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გაზეთში და საბუთების მიღების ვადის ამოწურვამდე განთავსდეს უნივერსიტეტში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებზე მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.
5. განცხადებაში აღინიშნება კონკურსანტების რეგისტრაციის დაწყების თარიღი, განცხადების მიღების ბოლო ვადა, წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა და კონკურსის ჩატარებისა და შედეგების გამოქვეყნების თარიღი.

მუხლი 35. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები

1. სრულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 6 წლის გამოცდილება.
2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის გამოცდილება.
3. ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან დოქტორანტი.
4. დამატებითი პირობები შეიძლება განსაზღვროს უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ. ამ პირობებს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 36. აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები და შრომითი ურთიერთობები

1. აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
2. აკადემიური პერსონალის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და უნივერსიტეტსა და აკადემიურ პერსონალს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებით.
3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო სწავლებისა და კვლევის თავისუფლებას და ქმნის მისი საქმიანობისათვის შესაბამის პირობებს.

მუხლი 37. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლება

1. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლებია:
 - ა) პირადი განცხადება;
 - ბ) ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;
 - გ) ეთიკის კოდექსისა და შინაგანაწესის ნორმების უხეში ან სისტემატური დარღვევა;
 - დ) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არსებითი პირობების დარღვევა;
 - ე) 2009/2010 წლის დასაწყისიდან პენსიაზე გასვლა ან ემერიტუსის წოდების მინიჭება;
 - ვ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის გარდა, აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს უნივერსიტეტის რექტორი,.

მუხლი 38. აკადემიური წოდებები

1. აკადემიურ საბჭოს უფლება აქვს მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისათვის მიანიჭოს საპატიო დოქტორის წოდება.
2. უნივერსიტეტის 65 წლის ასაკს მიღწეულ ყველა სრულ პროფესორს 2009/2010 სასწავლო წლის დასაწყისიდან ენიჭება ემერიტუსის წოდება.
3. ემერიტუსის წოდების მქონე პირის ემერიტუსის წოდების მინიჭებამდე არსებული ხელფასისა და სახელმწიფო პენსიის ოდენობებს შორის განსხვავებას ფარავს უნივერსიტეტი. ამასთანავე, ემერიტუსის წოდების მქონე პირს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში აკადემიური და ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების გარეშე და ისარგებლოს დამატებითი სოციალური გარანტიებით უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.

მუხლი 39. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი განისაზღვრება საქართველოს

კანონმდებლობითა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (ფაკულტეტის ან ფაკულტეტში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და სხვ.) დებულებით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 40. ადმინისტრაციული თანამდებობები და სხვა პერსონალი

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი და მათი მოადგილეები, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
2. რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის დეკანის მოადგილეები თანამდებობაზე ინიშნებიან რექტორის ბრძანებით სათანადო მმართველი სუბიექტების წარდგინების საფუძველზე.
3. ადმინისტრაციულ თანამდებობებზე არ შეიძლება არჩეულ ან დანიშნულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი.
4. მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება მასწავლებელი და უფროსი მასწავლებელი. მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს სასემინარო, პრაქტიკულსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.
5. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული უნივერსიტეტის საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა პირები.
6. მასწავლებლის თანამდებობათა დაკავების პირობები და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავებული ერთიანი წესის შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.
7. უნივერსიტეტი უფლებამოსილია თანამდებობის დაკავების გარეშე, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პიროვნება სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით ან სამეურნეო-ტექნიკურ პროცესებში მონაწილეობის ან/და მათი წარმართვის მიზნით. მოწვეული სპეციალისტის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 41. ადმინისტრაციული თანამდებობიდან გათავისუფლება

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე გათავისუფლების საფუძველებია:

- ა) პირადი სურვილი;
- ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
- გ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;
- დ) 65 წლის ასაკის მიღწევა;
- ე) ამ უნივერსიტეტის მიერ ზედიზედ 2-ჯერ აკრედიტაციის გაუვლელობის შემთხვევა;
- ვ) ამ უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება;

- ზ) უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა;
- თ) გარდაცვალება.

მუხლი 42. თანამდებობრივი შეუთავსებლობა

1. ადმინისტრაციული თანამდებობის პირს არ შეიძლება უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს სხვა ადმინისტრაციული თანამდებობა ან იყოს სხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.
2. აკადემიური საბჭოს წევრს არ შეიძლება ამ უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა, გარდა რექტორისა, ან იყოს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი.
3. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს არ შეიძლება ამ უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა.
4. უნივერსიტეტის აკადემიური, მასწავლებელთა და სხვა პერსონალის სამსახურებრივი შეუთავსებლობა განისაზღვრება კანონმდებლობით.

თავი VI. სტუდენტი

მუხლი 43. სტუდენტის უფლებები

1. სტუდენტს უფლება აქვს:
 - ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;
 - ბ) მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევებში;
 - გ) ამ წესდებით, შინაგანაწესითა და დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
 - დ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტის საქმიანობის, მათ შორის, საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ;
 - ე) აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტური თვითმმართველობის, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მართვის წარმომადგენლობით ორგანოებში, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ წესდების შესაბამისად;
 - ვ) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
 - ზ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
 - თ) საქართველოს კანონმდებლობითა და მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით სწავლების მეორე წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოახდინოს მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების ამ დაწესებულებაში გადატანა.
- აღნიშნული პროცედურის განსახორციელებლად ძირითადი პირობა არის გამშვები

და მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობა.

ი) მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

კ) აირჩიოს სასწავლო პროგრამა;

ლ) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებაში;

მ) პერიოდულად თავისი ინიციატივით მოახდინოს აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასება;

ნ) შეიძლება იმყოფებოდეს სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკზე;

ო) საჭიროებისამებრ აიღოს აკადემიური შვებულება სტუდენტთა კონტიგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციის მოთხოვნათა დაცვით;

პ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებმა სრულფასოვანი განათლების აუცილებელი პირობების შესაქმნელად მიიღონ სხვადასხვა სახის შეღავათები;

ჟ) განახორციელოს ამ წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებებამოსილებანი.

2. დოქტორანტი შეიძლება არჩეულ იქნეს ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე. მართვის ორგანოების არჩევნებში იგი მონაწილეობს, როგორც სტუდენტი.

3. სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისათვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა, ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება.

4. ადმინისტრაციის მხრიდან დაუშვებელია საკუთარი უფლებამოსილების და მატერიალურტექნიკური ბაზის იმგვარი გამოყენება, რამაც შეიძლება შექმნას ცენზურის დაწესების საფრთხე ან შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება.

5. სტუდენტთა ქვევის, დისციპლინური დევნის წესები განსაზღვრულია უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსში.

6. სტუდენტი უფლებამოსილია სასამართლოში გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

7. სტუდენტის სტატუსი წყდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას ან უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 44. სტუდენტის ვალდებულებები

სტუდენტი ვალდებულია:

1. ისწავლოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლაც სავალდებულოა.

2. დაიცვას უნივერსიტეტის წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი.

3. ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
4. გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის მატერიალურტექნიკურ ბაზას.

მუხლი 45. სტუდენტური თვითმმართველობა

1. უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს ფაკულტეტებიდან არჩეული სტუდენტური თვითმმართველობების ერთიანობას, რომელიც საქმიანობას წარმართავს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და თავისი დებულების მიხედვით.
2. უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა არჩევნების ორგანიზებაჩატარებას განსაზღვრავს თავისი დებულებით.
3. უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა თავისი დებულების შესაბამისად:
 - ა) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უნივერსიტეტის მართვაში;
 - ბ) ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;
 - გ) ირჩევს წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოში;
 - დ) ხელს უწყობს სტუდენტთა თავისუფალი დროის ნაყოფიერად გამოყენებას;
 - ე) შეიმუშავებს წინადადებებს ფაკულტეტების ან უნივერსიტეტის მართვის სისტემების და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელსაც წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოს, აკადემიურ საბჭოს;
 - ვ) საჭიროებისამებრ უფლებამოსილია მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტის საქმიანობას, მათ შორის საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ;
 - ზ) საჭიროებისამებრ უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის შეფასებაში;
 - თ) ნიშნავს წევრებს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის საარჩევნო კომისიებში;
 - ი) ნიშნავს წევრებს უნივერსიტეტში არსებულ მუდმივ თუ დროებით კომისიებში;
 - კ) იღებს დაფინანსებას უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან;
 - ლ) კოორდინირებულად მუშაობს უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტურ ორგანიზაციებთან, კლუბებთან, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრ სტუდენტებთან;
 - მ) ადმინისტრაციას მიმართავს შუამდგომლობებით სტიპენდიის დანიშვნის, შეღავათების გაწევისა და ინდივიდუალური გრაფიკის დანიშვნის შესახებ;
 - ნ) განახორციელებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
4. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უფლება არ აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

თავი VII. უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების საფეხურები და მიღების წესები

მუხლი 46. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების საფეხურები და მიღების წესები

1. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხურები:

ა) უნივერსიტეტში აკადემიური განათლება სამსაფეხურიანია: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა. ყოველი საფეხურის დასრულების შემდეგ სტუდენტს შესაბამისად ენიჭება ბაკალავრის, მაგისტრის და დოქტორის აკადემიური ხარისხი;

ბ) სასწავლო პროცესის მოცულობის ორგანიზება ხდება ბოლონის პროცესით განსაზღვრული ნორმებით.

2. პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად გაიცემა პროფესიული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სპეციალისტის დიპლომი.

3. უნივერსიტეტში სახელმწიფო აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლება აქვს მხოლოდ ერთიან ეროვნულ გამოცდებგავლილ აბიტურიენტს. მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში მიღების წესი განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

თავი VIII. უნივერსიტეტის ქონება, საფინანსოსაბიუჯეტო საქმიანობა

მუხლი 47. უნივერსიტეტის ქონება

1. უნივერსიტეტის ქონებას შეადგენს:

ა) სახელმწიფოს ან კერძო პირების მიერ უნივერსიტეტისათვის გადმოცემული უძრავი და მოძრავი ნივთები (შენობანაგებობები, შესაბამისი მიმდებარე ტერიტორიები, სპორტული მოედნები; საოფისე და ლაბორატორიული აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი; სატრანსპორტო საშუალებები; მანქანადანადგარები; უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი და სხვ.);

ბ) უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ნივთები.

2. უნივერსიტეტს უფლება არ აქვს მიღებული სახელმწიფო ქონება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში სარგებლობის უფლებით გადასცეს (კერძოდ, გააქიროს, იჯაროს, თხოვების ფორმით გადასცეს), დააგირაოს, იპოთეკით ან სხვაგვარად დატვირთოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოსთან (მესაკუთრესთან) შეუთანხმებლად. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლაპატრონობისა და დაცვისათვის.

მუხლი 48. საფინანსოსაბიუჯეტო საქმიანობა

1. უნივერსიტეტის საფინანსოეკონომიკური საქმიანობის ძირითადი მიზნებია:

ა) საფინანსო რესურსების პოტენციალის შექმნა უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით;

ბ) საფინანსო რესურსების განაწილების ოპტიმიზაცია საინვესტიციო ეფექტურობის კრიტერიუმების შესაბამისად;

გ) საფინანსო დაგეგმარებისა და ანალიზის სისტემის სრულყოფა ფინანსური სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით.

2. უნივერსიტეტის ბიუჯეტი ყალიბდება ფინანსირების ყველა წყაროს

გათვალისწინებით და მოიცავს საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებს.

მუხლი 49. უნივერსიტეტის შემოსავლები

უნივერსიტეტის ბიუჯეტის შევსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო საბიუჯეტო და კერძო წყაროები:

- ა) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
- ბ) სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტით;
- გ) საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიეროკვლევითი გრანტები;
- დ) დარგობრივი სამინისტროების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება;
- ე) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი, მათ შორის სწავლის საფასური;
- ვ) გრანტის, შემოწირულობის სახით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები;
- ზ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები.

მუხლი 50. უნივერსიტეტის ხარჯები

უნივერსიტეტის ხარჯები ხორციელდება უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროებისა და ფუნქციურეკონომიკური კრიტერიუმების საფუძველზე.

მუხლი 51. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ბიუჯეტები

1. უნივერსიტეტის ბიუჯეტი არის დაფინანსების სხვადასხვა ლეგიტიმური წყაროებიდან მიღებული შემოსავლებისა და მისი ფუნქციების და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი ხარჯების ნუსხა.
2. უნივერსიტეტის ბიუჯეტი ყალიბდება ცალკეული ფაკულტეტების ბიუჯეტებზე დაყრდნობით.
3. უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტს შეიმუშავებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ფაკულტეტებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად და აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით წარუდგენს დასამტკიცებლად წარმომადგენლობით საბჭოს.
4. უნივერსიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად ადმინისტრაციის ხელმძღვანელს აქვს უფლება უნივერსიტეტის სახელით დადოს ფინანსური და ეკონომიკური გარიგებები.
5. უნივერსიტეტის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე პასუხისმგებელია ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
6. ფაკულტეტის ბიუჯეტს შეადგენს კონკრეტული ფაკულტეტის მიერ მოზიდული შემოსავლები საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებიდან, ასევე ნებისმიერი სხვა შემოსავალი, რომელიც მოზიდულია ფაკულტეტის მიერ და არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და სხვა

მარეგულირებელი დოკუმენტებით.

7. უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს გააჩნია თავისი ქვეანგარიში.

8. ფაკულტეტი საქართველოს კანონმდებლობით, საკუთარი დებულებითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით წყვეტს ფაკულტეტის მიერ მოზიდული ფინანსებისა და მის მფლობელობაში არსებული ქონების ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

9. ფაკულტეტის ბიუჯეტი მუშავდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და გადაეცემა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ნაერთ ბიუჯეტში ჩასართავად. თუკი ბიუჯეტის განაწილება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჩართავს მას ნაერთ ბიუჯეტში და წარუდგენს აკადემიური საბჭოს თანხმობით წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

10. ფაკულტეტის ბიუჯეტს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო. წარმომადგენლობით საბჭოს არა აქვს უფლება ფაკულტეტთან შეთანხმების გარეშე ცვლილება შეიტანოს ფაკულტეტების ბიუჯეტებში.

მუხლი 52. ბიუჯეტის შემუშავებისა და დამტკიცების წესი

1. უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტს ამზადებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

2. ბიუჯეტის წარმომადგენლობით საბჭოში განხილვაში მონაწილეობს აკადემიური საბჭო.

3. ბიუჯეტის დასამტკიცებლად გადაწყვეტილებას წარმომადგენლობითი საბჭო იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

4. წარმომადგენლობითი საბჭო განიხილავს წარმოდგენილ ბიუჯეტს და ამტკიცებს მას ან შესაბამისი შენიშვნებით უბრუნებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

5. თუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დაეთანხმება წარმოდგენილ შენიშვნებს, ბიუჯეტს შენიშვნების გათვალისწინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

6. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არ ეთანხმება წარმომადგენლობითი საბჭოს შენიშვნებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს უფლება აქვს ბიუჯეტის პირვანდელი ვარიანტი აკადემიური საბჭოს წინადადებებითა და დასაბუთებული შენიშვნებით დასამტკიცებლად დაუბრუნოს წარმომადგენლობით საბჭოს.

7. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ბიუჯეტის განმეორებით დაუმტკიცებლობა იწვევს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტას და ბიუჯეტის დამტკიცება მოხდება ახალარჩეული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით.

8. ბიუჯეტის პროექტი წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დადგენილ ვადებში.

9. უნივერსიტეტის დამტკიცებულ ნაერთ ბიუჯეტში საბიუჯეტო წლის განმავლობაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მთლიანი ასიგნების 7%-ის ფარგლებში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით

წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების გარეშე.

10. ნაერთ ბიუჯეტში ცვლილება, რომელიც შეეხება ფაკულტეტის ბიუჯეტს, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს თანხმობით.

მუხლი 53. აღრიცხვანგარიშგების წესი

1. უნივერსიტეტი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსოეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი მიერ შეუძლია უნივერსიტეტის წლიურ ბალანსის შემოწმება.

თავი IX. სახელმწიფო კონტროლი

მუხლი 54. სახელმწიფო კონტროლი

1. უნივერსიტეტი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსოეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

2. უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარმოდგენა.

3. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს უნივერსიტეტის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

მუხლი 54. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. უნივერსიტეტმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით შეიძლება განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) სხვა გადაწყვეტილებები საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

3. უნივერსიტეტის ქონების ან მისი ნაწილის შეძენა, გასხვისება ან იჯარით გაცემა, ასევე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება ქონებასთან დაკავშირებით, თუ იგი სცილდება საგანმანათლებლო და სამეცნიეროკვლევითი საქმიანობის ფარგლებს,

შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უარი ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ქმედებების განხორციელებაზე უნდა იყოს დასაბუთებული. უარი შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სახელმწიფო ორგანოში ან/და სასამართლოში.

თავი X. უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 55. უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. უნივერსიტეტის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონითა და “საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” საქართველოს კანონებით გათვალისწინებული წესით.

2. უნივერსიტეტის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქართველოს მთავრობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით.

თავი XI. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მუხლი 56. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. წესდებაში ცვლილებებსა და დამატებებს შეიმუშავენ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

2. წარმომადგენლობით საბჭოში ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტის განხილვაში უფლებამოსილია მონაწილეობდეს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.